კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ანატოლია თრეიდ კომპანი“

2020 წლის 31 დეკემბერი

(კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორის დასკვნა წარმოადგენს ინგილსური ორიგინალის თარგმანს)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს გრანთ თორნთონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს „ანატოლია თრეიდ კომპანის“ მფლობელებს:

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ანატოლია თრეიდ კომპანის” და მისი შვილობილი კომპანიის (ერთად აღებული ”ჯგუფი”) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კონოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრისათვის, მის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“ასს”). ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა, რომლითაც განვიხილავთ არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება მატერიალურად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ სხვაგვარად აღმოჩნდება მატერიალურად შეუსაბამო.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს და

მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს). ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით, თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს ჯგუფის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ფუნქიონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ფინანსური ანგარიში

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლო თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ

რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.

- ვერკვევით შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ოკნიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომისიის ფუნქციონრიების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ოპერაციები და მოვლენები.
- მოვიპოვებთ სათანადო აუდიტორულ რწმუნებულებას ორგანიზაციის ან ბიზნესის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა აუდიტორული მოსაზრების გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე და აუდიტის პროცესის გაძღოლაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჩვენს მიერ გამოხატულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

2021 წლის 7 დეკემბერი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	15,874	17,685
აქტივის გამოყენების უფლება	5	16	16
არამატერიალური აქტივები		26	35
		15,916	17,736
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	20,104	11,875
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	686	1,942
სხვა მიმდინარე აქტივები		7	21
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	1,424	105
		22,221	13,943
სულ აქტივები		38,137	31,679
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	9		
საწესდებო კაპიტალი	9.1	2,527	2,527
გადაფასების რეზერვი	9.3	4,845	4,890
აკუმულირებული მოგება	9.2	8,629	7,735
		16,001	15,152
უმცირესობის წილი		10,271	9,453
სულ კაპიტალი		26,272	24,605
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	10	20	29
		20	29
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	11,836	7,037
საიჯარო ვალდებულებები	10	9	8
		11,845	7,045
სულ აქტივები და ვალდებულებები		38,137	31,679

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2021 წლის 7 დეკემბერს:

ალხან ალიზადა — ქეთევან ჯავახიშვილი

გენერალური დირექტორი — ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 11-36 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	15,874	17,685
აქტივის გამოყენების უფლება	5	16	16
არამატერიალური აქტივები		26	35
		15,916	17,736
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	20,104	11,875
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	686	1,942
სხვა მიმდინარე აქტივები		7	21
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	1,424	105
		22,221	13,943
სულ აქტივები		38,137	31,679
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები	9		
საწესდებო კაპიტალი	9.1	2,527	2,527
გადაფასების რეზერვი	9.3	4,845	4,890
აკუმულირებული მოგება	9.2	8,629	7,735
		16,001	15,152
უმცირესობის წილი		10,271	9,453
სულ კაპიტალი		26,272	24,605
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	10	20	29
		20	29
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	11,836	7,037
საიჯარო ვალდებულებები	10	9	8
		11,845	7,045
სულ აქტივები და ვალდებულებები		38,137	31,679

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2021 წლის 7 დეკემბერს:

ალხან ალიზადა	ქეთევან ჯავახიშვილი
გენერალური დირექტორი	ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 11-36 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა შემოსავლების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი	12	89,641	51,180
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(81,106)	(47,408)
საერთო მოგება		**8,535**	**3,772**
სხვა შემოსავალი	14	413	1,457
ადმინისტრაციული ხარჯები:			
თანამშრომელთა ხელფასები		(1,747)	(2,044)
საპენსიო ფონდის ხარჯები		(26)	(33)
საბანკო გადასახადი		(20)	(95)
ცვეთა და ამორტიზაცია	4;5	(1,275)	(1,429)
კომუნალური ხარჯები		(51)	(46)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(189)	(451)
დაზღვევის ხარჯი		(26)	(21)
დაცვა		(105)	(90)
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება		(131)	(52)
სარემონტო და ტექნიკური ხარჯები		(519)	(20)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		-	(1,606)
თანამშრომლებისთვის წინასწარ გადახდილი თანხები		-	(57)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(463)	(123)
		(4,552)	**(6,067)**
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები			
თანამშრომელთა ხელფასები		(1,107)	(567)
საპენსიო ფონდის ხარჯები		(16)	(9)
იჯარის ხარჯი		(159)	(253)
სარეკლამო ხარჯები		(31)	(211)
სატრასპორტო ხარჯები		(1,431)	(97)
		(2,744)	**(1,137)**
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		**1,652**	**(1,975)**
ფინანსური შემოსავალი	15	221	50
ფინანსური ხარჯი	15	(3)	(110)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	16	(188)	411
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**1,682**	**(1,624)**
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(15)	-
წლის ზარალი/მოგება		**1,667**	**(1,624)**
სხვა სრულიშემოსავალი			
ძირითადი საშალებების გადაფასება		-	7,998
სრული შემოსავალი საანგარიშგებო წლისთვის		**1,667**	**6,374**

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა შემოსავლების ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მშობელი კომპანის წილი		849	(828)
უმცირესი წილი		818	(796)
სხვა სრულიშემოსავალი			
მშობელი კომპანიის წილი		-	4,080
უმცირესი წილი		-	3,918

თანდართული შენიშვნები 11-36 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	გადაფასების რეზერვი	**სულ მშობელი კომპანიის მფლობელობის წილი**	**უმცირესობის წილი**	**სულ**
2019 წლის 1 იანვარი	2,527	8,563	810	**11,900**	**6,330**	**18,230**
წლის ზარალი	-	(828)	-	**(828)**	**(796)**	**(1,624)**
სხვა სრული შემოსავლები	-	-	4,080	**4,080**	**3,918**	**7,998**
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი)	-	(828)	4,080	**3,252**	**3,122**	**6,374**
2019 წლის 31 დეკემბერი	2,527	7,735	4,890	**15,152**	**9,453**	**24,605**
მოგება წლის განმავლობაში	-	849	-	**849**	**818**	**1,667**
მთლიანი სრული შემოსავალი	-	849	-	**849**	**818**	**1,667**
აქტივის გასვლისას გადაფასების ნამეტის გადატანა გაუნაწილებელი მოგებაზე	-	45	(45)	**-**	**-**	**-**
2020 წლის 31 დეკემბერი	2,527	8,629	4,845	**16,001**	**10,271**	**26,272**

თანდართული შენიშვნები 11-36 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		1,667	(1,624)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,798	1,429
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი		(31)	4
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		-	1,606
ფინანსური ხარჯი		3	110
მოგების გადასახადის ხარჯი		15	-
ფინანსური შემოსავალი		(221)	(50)
საკურსო სხვაობის მოგება/(ზარალი)		188	(411)
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე		3,419	1,064
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		2,050	(1,446)
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(8,086)	7,869
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებუბლებებში		2,706	(8,832)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		89	(1,345)
გადახდილი პროცენტი		(3)	(106)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		86	(1,451)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(133)	(3)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		41	-
საპროცენტო შემოსავლების მიღება		221	50
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		129	47
ფულადი ნაკადები ფინანსირებიდან			
შემოსავალი სესხებიდან და საიჯარო ვალდებულებებიდან	24	-	7,853
სესხებისა და საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	24	(8)	(7,875)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან		(8)	(22)
წმინდა ფულის ზრდა/(კლება)		207	(1,426)
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე		1,112	619
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის დასაწყისში		105	912
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის ბოლოს		1,424	105

თანდართული შენიშვნები 11-36 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს "ანატოლია თრეიდ კომპანი" ("ჯგუფი") დაარსდა 2010 წელს. იმავე წელს ჯგუფმა დაარსა შვილობილი კომპანია შპს "აგარის შაქრის კომპანია" და შეიძინა საქართველოში არსებული ერთადერთი შაქრის ქარხანა, რომელიც მდებარეობს სოფელ აგარაში, ქარელის რაიონი, საქართველო. ქარხანა არსებობს 1932 წლიდან.

ჯგუფის მთავარი საქმიანობაა შაქრის ლერწმის გადამუშავების შედეგად მიღებული ნედლეულიდან თეთრი შაქრის წარმოება და საბოლოო პროდუქტის შიდა ბაზარზე გაყიდვა. ჯგუფი ასევე ყიდულობს რაფინირებულ შაქარს და ყიდის შიდა ბაზარზე.

ჯგუფის 100%-იან წილს ფლობს აზერბაიჯანში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანადოლუ ინვესთმენთ კომპანი, რომელსაც თავის მხრივ აკონტროლებს აზერბაიჯანის მოქალაქე გოზალ კურტ ლეილა აბდოლბარი ქიზი, რომელიც ფლობს აღნიშნული კომპანიის წილის 60%-ს.

შპს " ანატოლია თრეიდ კომპანის" იურიდიული მისამართია: მატროსოვის ქ. 13, ისანი, თბილისი, საქართველო.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად გამოშვებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

2.2 შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც მოცემულია ფულადი სახსრების ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდისა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით და ძირითადი საშუალებები წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით, ამის შესახებ აღწერილია ქვემოთ (იხილეთ შენიშვნა 4).

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში (ან მითითებულია), მთლიანი ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია დამრგვალებულად ათას ლარში.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო

პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მოიცავს მაღალი დონის შეფასებასა და მოსაზრებას, ასევე კონსოლიდირებული ანგარიშგების მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-19 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

ჯგუფმა მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა (“IASB”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭო (“IFRIC”) მიერ გაცემული ყველა ახალი და გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც შესაბამისობაშია მის ფუნქციონირებასთან და ძალაშია ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის დაწყებული 2020 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ:

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვრის ან შემდგომ დაწყებული საანგარიშო წლებისათვის

ქვემოთ აღწერილმა ახალმა სტანდარტებმა და შესწორებებმა, რომლებიც პირველად იქნა გამოყენებული 2020 წელს, არსებითი გავლენა არ იქონია წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები*
- *ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის ცვლილებები)*
- *არსებითობის განმარტება (ბაას 1 და ბაას 8 ცვლილებები)*
- *საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა (ცვლილებები ფასს 9-ში და ფასს 7-ში)*
- *COVID-19 იჯარასთან დაკავშირებული შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში)*

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული ჯგუფის მიერ

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის არსებული სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) მიერ, მაგრამ არ არის ძალაში შესული, ჯგუფს ჯერ არ დაუწყია მათი დანერგვა.

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველი პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

მენეჯმენტი არ ითვალისწინებს მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ სტანდარტებისა და დამატებების შესაბამისად, რომლებიც ქვემოთ მოცემულია.

- *საპროცენტო განაკვეთის შეფასების რეფორმის ეტაპი 2 (ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 16-ში, ფასს 4-ში, ფასს 7-ში)*
- *ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები*
- *შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები)*
- *მითითებები კონცეპტუალურ ჩარჩოზე (ცვლილებები ფასს 3-ში)*
- *მავალდებულებელი კონტრაქტები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯები (ბასს 37-ის ცვლილებები)*
- *ფასს-ის 2018-2020 წლების ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება (შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ბასს 41-ში, ფასს 16-ში)*

- *ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ცვლილებები ბასს 1-ში)*

2.6 შვილობილი კომპანიები

[ეს შენიშვნა ეხება მხოლოდ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას]

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავ შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

2020 წლის 31 დეკემებერი შვილობილი	მფლობელობა %	ქვეყანა	გაერთიანების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს აგარის შაქრის კომპანია	51.00	საქართველო	2010 წლის 22 ივლისი	წარმოება	2010 წლის 22 ივლისი

2019 წლის 31 დეკემებერი შვილობილი	მფლობელობა %	ქვეყანა	გაერთიანების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს აგარის შაქრის კომპანია	51.00	საქართველო	2010 წლის 22 ივლისი	წარმოება	2010 წლის 22 ივლისი

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 კონსოლიდაციის საფუძვლები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს მშობელი კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის ანგარიშებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ყველა შვილობილი კომპანიის ანგარიშგების თარიღია 31 დეკემბერი.

ჯგუფის კომპანიებს შორის ყველა ოპერაცია და ნაშთი აღმოიფხვრება კონსოლიდაციის შედეგად, განხორციელებული ოპერაციების არარეალიზებული მოგება/ზარალის ჩათვლით. როდესაც ჯგუფში აქტივების გაყიდვების არარეალიზებული ზარალი ანაზღაურდება კონსოლიდაციის შედეგად, ძირითადი აქტივი ასევე შემოწმდება ჯგუფის პერსპექტივიდან გაუფასურების შესახებ. შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებაში აღწერილი თანხები შესწორდა საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის მიერ მიღებულ სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილიკომპანიების მოგება ან ზარალი აღიარებულია შეძენის ძალაში შესვლის თარიღიდან ან განკარგვის ძალაში შესვლის თარიღამდე.

ჯგუფი ასახავს შვილობილი კომპანიების მთლიან გაერთიანებულ შემოსავალს ან ზარალს მშობლის მეპატრონეებს შორის და არაკონტროლირებადი ინტერესებს მათი საკუთრების შესაბამისი ინტერესებიდან გამომდინარე.

3.2 უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, გარდა ფუნქციონალური ვალუტისა, გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ოპერაციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევროსთვის 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი და ერთი ევრო 3.2095 ლარი). არაფულადი ერთეულები არაა

გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ოპერაციების დღეს არსებული კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღისთვის არსებული კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ფულადი მუხლებისთვის ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

3.3 ძირითადი საშუალებები

მიწა, შენობა-ნაგებობები და საწარმოო დანადგარები (საწარმოო პროცესში მონაწილე ძირითადი საშაულებები) წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საჭიროებისამებრ (საკმარისი) სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასებული აქტივის შემდგომი რეალიზაციის ან სრულად ამორტიზირებისას, კუთვნილი გადაფასების ნამეტი, რომელიც დარჩენილია აქტივის გადაფასების რეზერვში გადაიტანება პირდაპირ დაგროვილ მოგებაში.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება გაუფასურების ზარალით. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან აღიარების შეწყვეტიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგნაირად ნაწილდება:

შენობები	- 20 წელი
საწარმოო დანადგარები	- 12-13 წელი
ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობები	- 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი.

3.4 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რაც შემცირებულია დაგროვილი ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალით.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადები შეფასებულია 6 წლით.

3.5 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.6 იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი განიხილავს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარა განისაზღვრება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის კონტროლის უფლების გადაცემას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იჯარის აღიარება და შეფასება

იჯარის დაწყების თარიღისათვის ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო

ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, ჯგუფის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით) ჯგუფი, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. ჯგუფი ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

როგორც მოიჯარე ჯგუფი ახდენს იჯარის კლასიფიკაციას. იჯარა შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც საოპერაციო ან როგორც ფინანსური.

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით(FVOCI)
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით(FVOCI)

კლასიფიკაცია განსაზღვრული შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

• ჯგუფის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის;

• ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. ჯგუფის ფინანსური აქტივები დაყოფილი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 19.2.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL)

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება გამოტოვებულია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს.ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "ფლობის" ან "ფლობის და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით.განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

კატეგორია ასევე შეიცავს ინვესტიციას კაპიტალში. ჯგუფი აღრიცხავს ინვესტიციას სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და არ აკეთებს შეუქცევად არჩვანს ინვესტიციებისა და სააქციო კაპიტალის რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. მიმდინარე ფინანსურ წელს, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ფასს 9-ის მოთხოვნების მიხედვით, რომელიც არ იძლეოდა ინვესტიციის თვითღირებულებით შეფასების უფლებას.

ამ კატეგორიაში, აქტივები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით შემოსავლებთან და დანაკარგებთან ერთად, რომლებიც ხვდებიან მოგება-ზარალში. ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებები, ამ კატეგორიაში, განსაზღვრულია აქტიური ბაზრის მონაცემებით, ან შეფასების ტექნიკის გამოყენებით, როცა აქტიური ბაზარი არ არსებობს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებეს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“. ეს ანაცლვებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელი“. ახალ არეალში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებულ ხარჯად და FVOCI, სავაჭრო მოთხოვნები, სახელშეკრულებო აქტივები აღიარებული და შეფასებული ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულება და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები (ემიტენტისთვს), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული ჯგუფის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად ჯგუფი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2)

ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

ჯგუფი იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას,

როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

ჯგუფი აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშნვა 20(ბ) დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 19.2 შენიშვნაში.

სესხები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, წმინდა გაცემის ღირებულებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი.თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებულია სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, საკვალიფიკაციო აქტივის კონსტრუქციასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.9 ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ხელზე არსებულ ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.10 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ჯგუფის მიერ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.11 სახელმწიფო გრანტი

სახელმწიფო გრანტები არ აღიარდება მანამდე, სანამ არ არსებობს გონივრული გარანტია, რომ ჯგუფი შეასრულებს მათთან დაკავშირებულ პირობებს და მიიღებს გრანტებს.

სახელმწიფო გრანტები, რომელთა ძირითადი პირობაა, რომ ჯგუფმა უნდა იყიდოს, აწარმოოს ან სხვაგვარად შეიძინოს გრძელვადიანი აქტივები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია გადავადებული შემოსავლის სახით და აქტივის სასიცოცხლო პერიოდის მიხედვით, სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე ხდება მისი გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა სახელმწიფო გრანტები აღიარდება შემოსავლად სისტემატურ საფუძველზე, იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც ხდება

გრანტის მეშვეობით. სახელმწიფო გრანტი, რომელიც მიღებული იქნება გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, ან საწარმოს გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო დანახარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას.

3.12 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ოპერაციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადი აღიარებულია ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, განურჩევლად გადახდის რეალური თარიღისა და დივიდენდების განაწილების პერიოდისა. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების ოდენობის 15/85.

2017 წელს, მოგვიანებით დეკლარირებულ და გადახდილ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადისთვის, 2016 წლამდე დაგროვილი მოგებიდან, გადასახადის კრედიტი ხელმისაწვდომია წინა მოდელის მიხედვით გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისთვის.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ იქმნება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. ხელმძღვანელობა თავიდან შეაფასებს აღნიშნულ საკითხს 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.13 შემოსავალი

შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება წარმოებული და იმპორტირებული საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია

2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია

3. გარიგების ფასის განსაზღვრა

4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე

5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

ზოგადად, შემოსავალი აღიარებულია ან დასასწყისში ან ბოლოში, როდესაც (ან როგორც) ჯგუფი აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებებს, დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემა თავის მომხმარებლებზე.

ჯგუფი აცნობებს საკონტრაქტო ვალდებულებებს, ანაზღაურებაზე, რომელიც მიღებული იქნა შეუსრულებელი შესრულების ვალდებულებებთან დაკავშირებით და ამ თანხებს ასახავს, როგორც სხვა ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ანალოგიურად, თუ ჯგუფი ანაზღაურებას მიიღებს შესრულების ვალდებულებამდე, ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს ან ხელშეკრულების აქტივს, ან მისაბრუნებელს, იმისდა მიხედვით, საჭიროა თუ არა დრო სხვა რამის გარდა, ანაზღაურება უნდა მოხდეს.

რეალიზაცია

ჯგუფის ერთადერთი შემოსავალი არის შემოსავალი საქონლის გაყიდვებიდან - წარმოებული შაქარი ან იმპორტირებული შაქრის რეალიზაცია.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია, როდესაც ჯგუფი აქტივების გადასცემს მომხმარებელს. გადაცემული საქონლის ინვოისები გადაიხდება მაშინ, როცა მომხმარებელი მიიღებს. საქონლის ამგვარი გაყიდვების დროს, კონტროლი გადააქვთ იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი საქონლის უდავო მიწოდებას ახორციელებს, ამიტომ საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია დროის ამ ეტაპზე.

შემოსავალი მცირდება მომხმარებლების მიერ მოსალოდნელი დაბრუნებებისგან, ფასდაკლებითა და სხვა მსგავსი შეღავათებით.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროულად, ძირი თანხისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მითითებით, რომელიც თავისთავად, წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას ახდენს აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში და დაჰყავს ის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

4 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა	შენობა-ნაგებობები	საწარმოო დანადგარები	ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალება	დაუმთარებელი მშენებლობა	სულ
ღირებულება							
1 იანვარი, 2019 წელი	1,889	11,515	12,291	364	346	-	26,405
შემოსვლა	-	-	-	3	-	-	3
გასვლა	-	-	(7)	-	-	-	(7)
გადაფასება	(248)	3,627	4,619	-	-	-	7,998
31 დეკემბერი, 2019 წელი	1,641	15,142	16,903	367	346	-	34,399
შემოსვლა	-	-	164	4	1	76	245
გასვლა	-	(1)	(224)	(9)	(21)	-	(255)
შიდა მოძრაობა	-	-	55	3	-	(58)	-
31 დეკემბერი, 2020 წელი	1,641	15,141	16,898	365	326	18	34,389
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება							
1 იანვარი, 2019 წელი	-	5,654	7,329	364	346	-	13,693
წლის ცვეთა	-	577	841	-	-	-	1,418
გასვლის შედეგად ცვეთის ელიმინირება	-	-	(3)	-	-	-	(3)
გაუფასურება	-	153	1,453	-	-		1,606
31 დეკემბერი, 2019 წელი	-	6,384	9,620	364	346	-	16,714
წლის ცვეთა	-	751	1,179	2	-	-	1,932
გასვლის შედეგად ცვეთისს ელიმინირება	-	(1)	(100)	(9)	(21)	-	(131)
31 დეკემბერი,2020 წელი	-	7,134	10,699	357	325	-	18,515
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2019 წელი	1,641	8,758	7,283	3	-	-	17,685
31 დეკემბერი, 2020 წელი	1,641	8,007	6,199	8	1	18	15,874

ჯგუფი ფლობს 300 ათასი ლარის ისტორიული ღირებულების მიწას აგარაში.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიწა, შენობები და საწარმოო დანადგარები გადაფასდა, დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ. შეფასება დამყარებული იყო საბაზრო მიდგომაზე. საბაზრო მიდგომა ასახავს ბოლოდროინდელ საბაზრო გარიგებაზე დაფიქსირებულ ფასებს მსგავსი ქონებისათვის და იყენებს კორექტირებს გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, მაგალითად როგორიც არის მიწის ნაკვეთის ზომა, ადგილმდებარეობა, გამოყენების მიზანი და სხვა.

ქონების გადაფასების შედეგად წარმოქნილი ნამეტი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი დააკომპენსირებს ამავე აქტივის ჩამოფასების თანხას, რომელიც ადრე იყო აღიარებული მოგება ზარალში) და დაგროვებულია საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების რეზერვის“ სახელწოდებით. შემცირების თანხა აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით.

გადაფასებისას, დაგროვილი ცვეთა აკლდება აქტივის პირვანდელ ღირებულებას ხოლო წმინდა თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით.

მიწები, შენობები და საწარმოო დანადგარები, რომ გაანგარიშებულიყო ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით, მაშინ აღიარებული იქნებოდა შემდეგი საბლანსო ღირებულებები:

მიწა	- 1,889
შენობა	- 2.997
საწარმოო დანადგარები	- 3,725

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოუყენებელი საშუალებები შეადგენს 287 ათას ლარს (31 დეკემბერი 2019 წელი: 517 ათასი ლარი), რომლებიც მიეკუთვნება მანქანებისა და მძიმე ტექნიკის კატეგორიას.

ძირითადი საშულებები, ისტორიული ღირებულებით 975 ათას ლარს (2019: 1,876), სრულად ამორტიზირებულია.

იმის გამო, რომ 2019 წლის განმავლობაში წარმოების პროცესი შეჩერებული იყო და ჯგუფი ყიდდა იმპორტირებულ საქონელს და საკუთარი წარმოების შაქრის ძველ მარაგს, ცვეთის ხარჯიმთლიანად დაერიცხა ადმინისტრაციულ ხარჯებში.

2020 წლის განმავლობაში ცვეთის ხარჯი ჩართული მოგება-ზარალში შემდეგი პროპორციით:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	523	-
ადმინისტრაციული ხარჯები	1,266	1,418
	1,789	1,418
მარაგების ნაშთის თვითღირებულებაში ჩართული ცვეთა წლის ბოლოს	144	-
	1,933	1,418

5 აქტივის გამოყენების უფლება

ათასი ლარი	შენობები	სულ
ღირებულება		
1 იანვარი, 2019 წელი	-	-
კორექტირებები ფასს 16-ის მიხედვით	44	44
მატება	-	-
31 დეკემბერი 2019 წელი	44	44
31 დეკემბერი, 2020 წელი	44	44

აკუმულირებული ცვეთა		
1 იანვარი 2019 წელი	-	-
კორექტირებები ფასს 16-ის მიხედვით	9	9
წლის ცვეთა	-	-
31 დეკემბერი, 2019 წელი	9	9
წლის ცვეთა	9	9
31 დეკემბერი,2020 წელი	18	18
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი, 2019 წელი	**35**	**35**
31 დეკემბერი 2020 წელი	**26**	**26**

6 მარაგები

ათასი ლარი	31 დეკემბერი, 2020 წელი	31 დეკემბერი, 2019 წელი
მზა პროდუქცია	18,746	10,524
დაუმთავრებელი წარმოება	1,250	1,217
სხვა	108	134
	20,104	11,875

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	31 დეკემბერი 2020 წელი	31 დეკემბერი 2019
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	445	865
	445	865
არა-ფინანსური აქტივები		
წინასწარ გადახდილი ხარჯები	241	22
წინასწარ გადახდილი ხელფასები	57	57
საეჭვო მოთხვონის რეზერვი წინასწარ გადახდილ თანხებზე	(57)	(57)
სახელწმიფოს ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	1,055
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	686	1,942

სავაჭრო მოთხოვნები არის მოკლევადიანი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიახლოვებულია მის რეალურ ღირებულებასთან. საქონლის რეალიზაციის საშუალო საკრედიტო პერიოდი 30-90 დღეა (2019: 30-90). სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტი არ დარიცხულია. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის წინასწარი გადახდა სრულად ანაზღაურებადია

შენიშვნა 20 (ბ)-ში წარდგენილია საკრედიტო რისკებისა და შესაძლო დანაკარგებით გამოწვეული ზარალის ანალიზი.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 20 (ა)-ში.

8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	13	2
საბანკო ანგარიშებზე	1,411	103
	1,424	105

ფულადი სახსრები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 20 (ა)-ში.

9 კაპიტალი და რეზერვები

9.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება ერთი აქციისგან, ნომინალური ღირებულებით 2,527 ლარი, რომელიც ეკუთვნის შპს „ანადოლუ ინვესთმენთ კომპანი-ს“ აზეირბაიჯანში. 2019 წლიდან კომპანიის 100 %იანი მმართველი გახდა შპს „ანადოლუ ინვესთმენთ კომპანი”, მანამდე 100 %იანი მმართველი იყო „გლობალ აგრო ინდასთრის FZCO”, არაბეთის გაერთიანებული საემიროები.

9.2 აკუმულირებული მოგება/(ზარალი)

დაგროვილი მოგება / (ზარალი) მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას / დაუფარავ ზარალს.

9.3 გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი წარმოიქმნება მიწების, შენობებისა და საწარმოო აღჭურვილობის (მანქანები და მძიმე ტექნიკა) გადაფასებისას.

9.4 დივიდენდები

2020 და 2019 წლებში არ გამოცხადებულა გასაცემი დივიდენდები.

10 საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	9	8
გრძელვადიანი	20	29
	29	37

მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის გარდა, თითოეული იჯარა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლების კლასიფიკაციას ახდენს ცალკე, მსგავსად ძირითადი საშუალებებისა (იხ. შენიშვნა 5).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია იჯარის საქმიანობის ბუნება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული აქტივის გამოყენების უფლების ტიპის მიხედვით:

აქტივის გამოყენე-ბის უფლება	აქტივების რაოდენობა	დარჩენი-ლი ვადის დიაპაზო ნი	საშუალო დარჩენი-ლი იჯარს ვადა	იჯარების რაოდენობა ვადის გახან-გრძლივებ-ის უფლებით	იჯარების რაოდენო-ბა შესყიდ-ვის უფლებით	იჯარების რაოდენობა ინდექსზე დამოკიდებუ ლი ცვლადი გადახდით	იჯარების რაოდენობა შეწყვეტის უფლებით
შენობები	1	3	3	-	-	-	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია დაკავშირებული ძირითადი საშუალებებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახადები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგი იყო:

ათასი ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ერთი წლის განმავლობაში		
საიჯარო გადასახადები	(11)	(11)
ფინანსური ხარჯი	3	3
	(8)	(8)
2 დან 5 წლის ჩათვლით		
საიჯარო გადასახადები	(23)	(34)
ფინანსური ხარჯი	2	5
	(21)	(29)
წმინდა მიმდინარე ღირებულება	(29)	(37)

საიჯარო გადასახადები არ არის აღიარებული როგორც ვალდებულება

ჯგუფმა აირჩია არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (საიჯარო მოსალოდნელი ვადა 12 თვე ან ნაკლები) ან დაბალი ღირებულების აქტივების იჯარით აღება. ასეთი იჯარით გადახდილი თანხები აღიარდება ხარჯებში წრფივი მეთოდის საფუძველზე ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით. იჯარის გადასახადებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც არ არის გათვალისწინებული საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, შემდეგია:

ათასი ლარი

	2020	2019
მოკლევადიანი იჯარა		
დაბალი ღირებულების აქტივის იჯარა	82	87
მოკლევადიანი იჯარა	47	1
ცვლადი საიჯარო გადასახადები	30	165
	159	253

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	10,494	6,974
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	1,236	-
მიღებული ავანსები	59	6
გადასახდელი დივიდენდები	39	39
ვალდებულბები პერსონალის მიმართ	8	18
	11,836	7,037

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. ჯგუფს აქვს ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა დარწმუნდეს, რომ ყველა ვალდებულება იხდება საკრედიტო დროის ვადაში.

ვალდებულებები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 20 (ა)-ში.

12 შემოსავალი

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქციის რეალიზაცია	63,231	20,051
იმპორტირებული საქონლის რეალიზაცია	18,768	31,093
პროდუქციის ექსპორტი	7,097	-
თანაპროდუქტის რეალიზაცია	352	32
სხვა	193	4
	89,641	51,180

13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქციის თვითღირებულება	56,403	18,244
იმპორტირებული საქონლის თვითღირებულება	19,211	29,150
ექსპორტირებული მზა პროდუქციის თვითღირებულება	5,184	-
თანაპროდუქტების ადგილობრივი რეალიზაციის თვითღირებულება	286	11
სხვა	22	3
	81,106	47,408

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
პირდაპირი მასალა	55,088	17,215
სახელფასო ხარჯი	792	392
ცვეთის ხარჯი	523	637
	56,403	18,244

2019 წელს კომპანიამ გაყიდა ის მარაგები რომლებიც 2018 წელის წარმოებიდან იყო დარჩენილი.

14 სხვა შემოსავალი

ათასი ლარი	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი პატიებული გადასახადებიდან	308	1,413
სხვა	105	44
	413	1,457

15 ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ათასი ლარი	Year ended 31 December 2020	Year ended 31 December 2019
საპროცენტო ხარჯები საბანკო სესხებზე	-	(106)
საპროცენტო ხარჯები იჯარაზე	(3)	(4)
სულ ფინანსური ხარჯები	(3)	(110)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებიდან	221	50

სულ ფინანსური შემოსავალი	221	50
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	218	(60)

16 მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

ათასი ლარი	2020 წელი	2019 წელი
სესხები და სავაჭრო მოთხოვნები	1,906	619
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით	(2,094)	(208)
	(188)	411

17 მოგების გადასახადის ხარჯი

ათასი ლარი	2020 წელი	2019 წელი
მიმდინარე გადასახადი	15	-
	15	-

მიმდინარე წელს დარიცხული მოგების გადასახადი დაკავშირებულია საქონლის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდებასთან.

2019 წლიდან არ განხორციელებულა მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაცია.

2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ოპერაციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). შესწორებული საგადასახადო კონცეფციის თანახმად, არ არსებობს დროებითი სხვაობა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო საფუძველს შორის.

18 ფინანსური ანგარიშის შემდგომი მოვლენები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასების პროცესში და დაფუძნებულია ისტორიულ გამოცდილებაზე. ამასთან, გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავლის მოვლენები და მოლოდინები, რაც სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

18.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებული ღირებულება

მიწა და შენობები აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით. ძირითადი საშუალებების კლასები გამოყოფილია დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის ანგარიშის საფუძველზე, რომელმაც გადააფასა აღნიშნული აქტივები. გადაფასება მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს.

ამგვარად, ჯგუფის ძირითადი საშუალებების ფაქტიური სამართლიანი ღირებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ღირებულებებისგან.

მარაგები

ხელმძღვანელობა აფასებს სასაქონლო მატერიალური მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ, ყველაზე სანდო მტკიცებულებაზე დაყრდნობით. მომავალში, ამ მარაგების რეალიზაციაზე გავლენა შეიძლება იქონიოს მომავალმა ტექნოლოგიურმა ან სხვა ბაზრის მამოძრავებელთა ცვლილებებმა, რომელთაც შესაძლოა შეამცირონ მომავალი გასაყიდი ფასები.

18.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გამოვლენა პანდემიად გამოაცხადა. გლობალურად, COVID-19– მა გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასებით და ვალუტის გაცვლითი კურსების მომატებული ცვალებადობით. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა კომერციული ბიზნესის შეჩერების შესახებ, გარკვეული გამონაკლისების გარდა. 2020 წლის ივნისიდან მთავრობამ მოიხსნა მკაცრი შეზღუდვები, მაგრამ ნოემბრის ბოლოს საქართველოში პანდემიის მდგომარეობის გაუარესების გამო და საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული მკაცრი რეგულაციების შედეგად გამოცხადდა ახალი ძლიერი შეზღუდვები.

რადგან სიტუაცია სწრაფად ვითარდება, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მრავალი კომპანიის ბიზნესზე ფართო სპექტრის მასშტაბით, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, ბიზნესის წარმოების შეფერხებით წარმოების შეწყვეტის ან ობიექტების დახურვის, მიწოდების ჯაჭვის მოშლის, პერსონალის კარანტინის, მოთხოვნის შემცირებისა და დაფინანსების მოზიდვის სირთულეების გამო. გარდა ამისა, პანდემიურმა ვითარებამ გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე:მიუხედავად პანდემიისა ჯგუფმა შეინარჩუნა ყველა თანამშრომელი და სწორედ ამ პერიოდში ამუშავდა საწარმო, რომელიც 2018 წლის ნოემბრიდან იყო გაჩერებული, სამუშაო ადგილების შემცირების ნაცვლად, პანდემიის პერიოდში ჯგუფმა მოახერხა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ამ დროისთვის ჯგუფში დასაქმებულია 427 ადამიანი, მაშინ როცა პანდემიის საწყისი პერიოდისთვის ჯგუფს ჰყავდა 30 თანამშრომელი.

2019 წელთან შედარებით 2020 წელს შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა, rრაც განაპირობა წარმოების პროცესის აღდგენამ.

19 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და განხილვები

19.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

მიღებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და მეთოდების დეტალები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და შემოსავლისა და ხარჯების აღიარების საფუძველი, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თითოეულ კლასთან დაკავშირებით მოცემულია 3.7 შენიშვნაში.

19.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეულ კატეგორიაში შემდეგია:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	445	865
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,424	105
მთლიანი ფინანსური აქტივები	1,869	970

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,541	7,031
საიჯარო ვალდებულებები	29	37
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,570	7,068

20 ფინანსური ინტრუმენტები

ჯგუფი არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან დაკავშირებული ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის გამო და ძირითადად აქვს სავალუტო რისკირომელიც დაკავშირებულია საოპერაციო საქმიანობასთან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფსს ოპერაციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები წარმოიქმნება ექსპორტით გაყიდვებისა და იმპორტით შესყიდვებისას ან ნედლეულისა დასაქონლის რეალიზაციისას, რომლებიც ძირითადად დენომინირებულია ამერიკულ დოლარში და ევროში.

უცხოური ვალუტით დენომინირებული ფინანსურიაქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ჯგუფს სავალუტო რისკის წინაშე აყენებს, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით:

ერთეული

31 დეკემბერი, 2020 წელი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
საბანკო ანგარიშები	29	2
	29	2
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,483	-
	10,483	-
წმინდა პოზიცია	(10,454)	2

ერთეული

31 დეკემბერი, 2020 წელი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
საბანკო ანგარიშები	5	7
	5	7
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,970	-
	6,970	-
წმინდა პოზიცია	(6,965)	7

ცხრილი ასახავს ლარის დოლარის და ევროს მიმართ 15%(2019:15%) კლება/მატების გავლენას ჯგუფზე. 15% (2019: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ევროსა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დენომირებულ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2019: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2020	2019	2020	2019
მოგება/ზარალი	1,577	1,046	-	1

უცხოური გაცვლითი კურსისადმი მგრძნობელობა მნიშვნელოვნად იცვლება უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან გამომდინარე. ზემოთ განხილული ანალიზი წარმომადგენლობით ხასიათს ატარებს.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი წარმოიშვება ფინანსური ინსტრუმენტებისგან, რომლებიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები ბანში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

საკრედიტო რისკები, რომელიც დაკავშირებულია ბანკებში განთავსებულ ნაღდ ფულთან და დეპოზიტებთან, იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციითა და მათი კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებით. კომპანია არ ფლობს რაიმე სახის უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთებისთვის. ამასთან, კომპანია სხვა ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში არ ფლობს გირაოს (მაგ.: ფული და ფულის ექვივალენტები საბანკო ანგარიშებზე)

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული ერთეულები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფინანსური კომპონენტს. მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია, ბოლო 365 დღის განმავლობაში,გაყიდვების საგადახდო პროფილზე.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, ჯგუფის ვალდებულებების გადახდისუუნარობას.

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2020	უპროპცენტო	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		11.48%	
6 თვეზე ნაკლები	10,541	6	10,547
6 თვიდან 1 წლამდე	-	6	6
1-5 წლამდე	-	22	22
5 წელზე მეტი	-	-	-
	10,541	34	10,575

2019	უპროპცენტო	ფინანსური იჯარის ვალდებულება	სულ
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საშუალო შეწონილი(%)		11.48%	
6 თვეზე ნაკლები	7,031	6	7,037
6 თვიდან 1 წლამდე	-	6	6
1-5 წლამდე	-	34	34
5 წელზე მეტი	-	-	-
	7,031	46	7,077

ჯგუფი ითვალისწინებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მოზიდვას ფინანსური აქტივებიდან ლიკვიდურობის რისკის, განსაკუთრებით მისი ფულადი სახსრებისა და სავაჭრო დებიტორული დავალიანების შეფასებისა და მართვის პროცესში. ჯგუფის ფულადი სახსრები და სავაჭრო მოთხოვნები აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს.

21 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ბალანსში ასახულია საბაზრო ღირებულებით, იერარქიულად 3 დონეს მოიცავს. აღნიშნული დაჯგუფება განსაზღვრულია საბაზრო ღირებულების დადგენისას მნიშვნელოვანი კომპონენტების დაბალი დონით:

- დონე 1: ქვოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;
- დონე 2: კომპონენტი გარდა ქვოტირებული ფასებისა რომელსაც მოიცავს პირველი დონე, რომელიც გარჩევადია აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ.ფასიდან გამომდინარე) და;
- დონე 3: კომპონენტები, რომლებიც არ არის გარჩევადი, აშკარა და რომლებზეც დაკვირვება შეუძლებელია ბაზრის მონაცემებიდან გამომდინარე.

21.1 არაფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

მიწები, *შენობები და საწარმოო დანადგარები* აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით. მათი სავარაუდო რეალური ღირებულება კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების მე-3 დონეზე. ამ აქტივების რეალური ღირებულების გაანგარიშება ხდება დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ლიცენზია. მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დაშვებები შემუშავებულია მენეჯმენტთან მჭიდრო კონსულტაციის შედეგად. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

აქტივები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით	შეფასების თარიღი	საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	აქტიური ბაზრის კოტირებული ფასები (Level 1)	ამოსავალი ემპირიული მონაცემები (Level 2)	ამოსავალი არაემპირიული მონაცემები (Level 3)
მიწა	31-12-2019	1,641	-	-	1,641
შენობა	31-12-2019	8,007	-	-	8,007
მანქანები და მძიმე ტექნიკა	31-12-2019	6,199	-	-	6,199

შეფასება განხორციელდა საბაზრო მიდგომის გამოყენებით. შეფასება შესრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს. საბაზრო მიდგომა ასახავს ბოლოდროინდელ საბაზრო გარიგებაზე დაფიქსირებულ ფასებს მსგავსი ქონებისათვის და იყენებს კორექტირებს გარკვეული ფაქტორების

გათვალისწინებით, მაგალითად როგორიც არის მიწის ნაკვეთის ზომა, ადგილმდებარეობა, გამოყენების მიზანი და სხვა.

ამოსავალი არაემპირიული მონაცემები არის მოცემული მიწის ან ქონების სპეციფიკური ფაქტორების კორექტირება. ამ კორექტირების მასშტაბი და მიმართულება დამოკიდებულია იდენტური ან შესადარისი აქტივის მახასიათებლებზე, რომელიც შეფასების საწყის წერტილად განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინფორმაცია სუბიექტურია, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მთლიან შეფასებაზე არსებით გავლენას არ მოახდენს გონივრული ალტერნატიული დაშვებები.

21.2 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც არის ახსნილი.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებებით უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

რეალური ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ამ მაგალითის მიზედვით ამოსავალი მონაცემი არის დისკონტის განაკვეთი.. ზემოთ აღწერილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სავარაუდო რეალური ღირებულებები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე -3 დონეზე.

22 კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს დააკმაყოფილოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს.

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს ფუნქციონირება და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

23 გაუთვალისწინებელი გარემოებები

23.1 კოვიდ-19 გავლენა

კოვიდ 19-ის პანდემიის გამო, იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. მომავალში სამთო პროდუქტებზე საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების შესაძლო მოზიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხოდ მიღებულმა გამკაცრებულმა ზომებმა, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და ჯგუფის მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ გაურკვევლობაში ჩართული რიგი ცვლადები და ვარაუდები, ხელმძღვანელობას არ შეუძლია ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე გავლენის საიმედოდ შეფასება. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება ჯგუფის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

23.2 დაზღვევა

საქართველოში სადაზღვევო სექტორი განვითარების ეტაპზე იმყოფება და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომელიც ფართოდ გავრცელებულია მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელი რჩება საქართველოსთვის. ჯგუფს არ აქვს სრული მოცვა აღჭურვილობებზე, ბიზნესის დროებით შეფერხებაზე ან მესამე მხარის ვალდებულებებზე, რომელიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ძირითადი საშუალებების და გარემოს ზიანთან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის ძირითად საშუალებებზე უბედური შემთხვევით ან დაკავშირებული იყოს ჯგუფის ოპერაციებთან. სანამ ჯგუფი არ მოიპოვებს შესატყვის სადაზღვევო მოცვას, არსებობს რისკი რომ დანაკარგებითა და განადგურებით გამოწვეულმა ზარალმა იქონიოს უარყოფითი გავლენა ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

23.3 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებეთან. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ გადმოცემული განმარტებები განსხვავდება ერთმანეთისგან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს ჯგუფის წარდგენაზე.

24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	მოკლევადიანი სესხები	საიჯარო ვალდებულება	სულ
2019 წლის 1 იანვარი			
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
შემოსვლა	7,853	-	7,853
გადახდა	(7,864)	(7)	(7,871)
გადახდილი პროცენტი	(106)	(4)	(110)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
ფასს 16-ის გავლენა	-	44	44
დარიცხული პროცენტი	106	4	110
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	11	-	11
2019 წლის 31 დეკემბერი	**-**	**37**	**37**
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
გადახდა	-	(8)	(8)
გადახდილი პროცენტი	-	(3)	(3)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
გადახდილი პროცენტი	-	3	3
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	**-**	**29**	**29**

25 დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დამფუძნებლები, შვილობილი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები, ძირითადი ხელმძღვანელობა და სხვები, როგორც აღწერილია ქვემოთ.

25.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფის 100%-იან წილს ფლობს აზერბაიჯანში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანადოლუ ინვესთმენთ კომპანი, რომელსაც თავის მხრივ აკონტროლებს აზერბაიჯანის მოქალაქე გოზალ კურტ ლეილა აბდოლბარი ქიზი. ინფორმაცია ჯგუფის შვილობილი კომპანიების შესახებ წარმოდგენილია შენიშვნა 2.6-ში.

25.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ათასი ლარი ოპერაციები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ერთეულები		
საქონლის რეალიზაცია		
მომსახურების მიწოდება	7,675	7,218
შესყიდვა	60	-
მომსახურების შეძენა (ქონების გაქირავება)	97	159

ათასი ლარი ნაშთები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლისს 31 დეკემბერი
მშობელი კომპანია		
გადასახდელი დივიდენდი	39	39
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ერთეულები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	443	829
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	17

25.3 ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა სარგებელში, მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	669	539

26 სახელმწიფო დახმარება

ჯგუფმა, ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში 2020 წლის განმავლობაში მიიღო სახელმწიფო დახმარება, რომელიც გულისხმობდა სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარების გაწევას. კერძოდ: სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა, რომელიც

სახელმწიფოს 100%-იან მფლობელობაშია, და შპს აგარა შაქრის ჯგუფს შორის, 2020 წლის 25 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ჯგუფმა იიღო მნიშვნელოვნად დაბალი ტარიფი და ყოველი ათასი სტანდარტული კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის მიღება შეძლო 175 აშშ დოლარად (დღგ-ს გარეშე), მაშინ, როდესაც 2018 წლის 30 აპრილს შპს აგარასა და შპს გაზ თრეიდინგს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, იგივე მოცულობის ბუნებრივი გაზის მიღება შეეძლო 250 აშშ დოლარად (დღგ-ს გარეშე).

შეღავათიან ფასში ბუნებრივი აირის მიწოდება მიზნად ისახავდა ჯგუფის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით მისი პროდუქციის კონკურენტუნარიონობის ზრდას, საწარმოო მდგრადობის ხელშეწყობასა და დასაქმებულთათვის ანაზღაურების დროულად დაფარვის შესაძლებლობის ზრდას.

აღნიშნული სახელმწიფო დახმარება არ არის აღიარებული სახელმწიფო გრანტად, რადგან მენეჯმენტს მიაჩნია რომ არ კმაყოფილდება ამ დახმარების გრანტად აღიარების პირობები, თუმცა მისი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, საჭიროდ იქნა მიჩნეული ამ შენიშვნაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების მოწოდება მკითხველისათვის.

27 შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ არ ყოფილა რაიმე მოვლენა ან ახალი გარემოება, რომელიც მოითხოვდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული ციფრების შეცვლას ან დამატებით ინფორმაციას.

შპს ანატოლია თრეიდ ქომფანი

სარჩევი

1. მოკლე მიმოხილვა 2
2. კომპანიის დამფუძნებლები და მმართველი პირები 3
3. საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი) 3
4. განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივები 3
5. წარმოებული კვლევები და მისი განვითარება 6
6. რისკების მიმოხილვა 6
7. ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა 7

მმართველობითი ანგარიშგება და

2020 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს ანატოლია თრეიდ ქომფანის 100 % წილის მფლობელი 2019 წლამდე იყო არაბთა გაერთიანებულ საემიროებში დაფუძნებული კომპანია GLOBA AGRO INDUSTRY FZCO, თუმცა 2019 წელს დამფუძნებელი შეეცვალა და 100% წილის მფლობელი გახდა Anadolu investment Company.
შპს ანატოლია თრეიდ ქომფანი არის შპს აგარის შაქრის კომპანიის 51 %_ის მფლობელი.
კომპანიის საქმიანობა მხოლოდ აგარის შაქრის კომპანიის მართვას მოიცავს, შესაბამისად ქვემოთ მოყვანილია შპს აგარის შაქრის კომპანიის მმართველობითი ანგარიშგება და 2020 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შვილობილი კომპანიის შესახებ:

1. **მოკლე მიმოხილვა**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "აგარის შაქრის კომპანია" დაფუძნებულია 2010 წლის 22 ივლისს.
შპს "აგარის შაქრის კომპანია" 2019 წლის განმავლობაში არ აწარმოებდა შაქარს. მის საკუთრებაში არსებული აგარის შაქრის ქარხანა აშენებულია 1932 წელს. საწარმო განლაგებულია ქარელის რაიონის დაბა აგარის ცენტრში, თბილისიდან 100 კილომეტრის მანძილზე. იგი განთავსებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გზატკეცილზე, ის ახლოა შავი ზღვის პორტებთან (ფოთი - 220 კმ., ბათუმი - 300 კმ.). მისი მდებარეობა ხელსაყრელია ნებისმიერი თვალსაზრისით, რადგანაც იგი ქვეყნის შუაგულში მდებარეობს და მისი ნებისმიერი საზღვრიდან დაახლოებით თანაბარი მანძილითაა დაშორებული, ხოლო ცენტრალური ტრასიდან და სარკინიგზო მაგისტრალიდან 50-200 მეტრშია. ქარხანა უზრუნველყოფილია სასაწყობო მეურნეობასთან სარკინიგზო მისასვლელით. საწარმოს ფართობი შეადგენს 29 ჰექტარს. მის მფლობელობაშია სასაწყობო შენობები, 8,035 ჰა. ფართობის სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 0.3322 ჰა. ფართობის წყალსაქაჩის ტერიტორია. საწარმო მარაგდება ელექტროენერგიით, საწვავით, არსებობს წყლით მომარაგების ბუნებრივი რესურსები. თავისი არსებობის პირველ წლებში საწარმო აწარმოებდა შაქარს მხოლოდ შაქრის ჭარხლიდან. პირველ, 1933 წელს გადამუშავებული იყო მხოლოდ 4,440 ტონა შაქრის ჭარხალი. წლიდან წლამდე საქართველოს შაქრის კომბინატი ზრდიდა სადღეღამისო წარმადობას და გადამუშავებული შაქრის ჭარხლის მოცულობას. 1958 წლიდან შაქრის ქარხანამ დაიწყო იმპორტული შაქრის ლერწმის გადამუშავება. თანდათან იზრდებოდა შაქრის ლერწმის გადამუშავების გამოცდილება და უკვე სამოცდაათიანი წლების დასაწყისში კომბინატმა მიაღწია უმაღლეს მაჩვენებლებს. იგი ამუშავებდა წელიწადში 100,000 ტონაზე მეტს შაქრის ჭარხალს და 50000 ტონაზე მეტს შაქრის ლერწმის ნედლეულს. ოთხმოცდაათიან წლებში შაქრის ჭარხლის დამზადების შემცირების მიუხედავად, მას ხანგრძლივი გაჩერება არ ჰქონია 2018 წლის ნოემბრამდე. ხოლო 2018 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ივნისამდე ქარხანამ წარმოება შეწყვიტა და მხოლოდ საცალო და სადისტრიბუციო ვაჭრობაზე იყო გადასული.

2. კომპანიის დამფუძნებლები და მმართველი პირები:

კომპანიის მფლობელები არიან:
შპს ანატოლია თრეიდ კომპანი (406031244) - 51%
შპს ნირეზოუნ- საქართველო (404867183)- 16,35%
შპს უნივერსალ კაპიტალ გრუპი (205273336) - 24,497%
შპს ანატოლია ჰოლდინგ კომპანი ლიმიტიდ, 125534,/არაბთა გაერთიანებული საემიროები - 8,168%

კომპანიის დირექტორი 2010 წლიდან არის - ბატონი ალხან ალიზადა
ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიის სადამფუძნებლო სტრუქტურა არ შეცვლილა.

3. საკუთარი აქციები (საწესდებო კაპიტალი)

ბოლო ორი წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა ცვლილება საწესდებო კაპიტალში და არ ყოფილა აქციების გამოშვება-გამოსყიდვა.

4. განვითარების გეგმა და სამომავლო პერსპექტივები

1997 წლიდან 2018 წლის ნოემბრამდე ქარხანა მუშაობდა იმპორტირებული შაქრის ლერწმის ნედლეულზე. საწარმო ნედლეულად იყენებდა ბრაზილიის უმაღლესი ხარისხის შაქრის ლერწამს. იგი მუშაობდა უწყვეტი ციკლით 24 საათის განმავლობაში ოთხ ცვლად და დასაქმებული ჰყავდა 479 თანამშრომელი. საწარმოში ფუნქციონირებდა სასადილო და სამედიცინო პუნქტი.
პანდემიის პერიოდში, მთავრობასთან წარმოებული მოლაპარაკებების შემდგომ, 2020 წლის ივლისიდან ქარხანამ განაგრძო მუშაობა, რასაც სახელმწიფოს მიერ წახალისებამ შეუწყო ხელი, მიზანი კი იყო ქვეყანაში არსებობდეს შაქრის მარაგი. კომპანიამ პანდემიის პერიოდში მონაწილეობა მიიღო ფასების შენარჩუნების კონკურსში, რომლის ფარგლებში შპს აგარას ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო სუბსიდირება შაქრის თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ფასს შორის სხვაობის, თუმცა მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ამავე წელს ზემოთაღნიშნული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფომ აუნაზღაურა კურსთაშორისი სხვაობა, რომელიც უცხოური ნედლეულის შესყიდვასთან იყო დაკავშირებული, ჯამში 19,265 ლარი.რაც შეეხება მიღებულ შეღავათებს, იგი დაკავშირებულია წარმოებაში გამოყენებული გაზის ღირებულებასთან. კომპანია აგრძელებს იმპორტირებული ნედლეულის გადამუშავებას და 2020 წლის ბოლოსთვის მას დასაქმებული ჰყავდა 500-მდე ადამიანი. კომპანიის მიზანი სამომავლოდ არის ხარჯების ოპტიმიზაცია და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა. პანდემიას, სამუშაო ადგილების, ან დასაქამებულთა ხელფასების შემცირება არ გამოუწვევია, და კომპანია ორიენტირებულია განვითარებაზე.
მსოფლიო ბაზარზე ნედლეულის გაძვირებასთან და ქვეყანაში იმპორტირებულ შაქარზე კვოტების არ არსებობის გამო, რაც გამოწვეულია ევროკავშირთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით, იმპორტირებული შაქარი აღმოჩნდა მნიშვნელოვან უპირატესობაში. უპირატესობას ძირითადად ქმნის ევროპული სახელმწიფოების მხრიდან, ირიბი სუფსიდია შაქრის წარმოებაზე, რაც გამოიხატება შაქრის ჭარხლის მომყვანი ფერმერებისთვის დაწესებული სუფსიდიებით. რის შედეგადაც 2017 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საწარმოს შვიდთვიან გაჩერებებს. საწარმოს მუშაობა აღდგენილ იქნა მხოლოდ ჩვენი დიდი ძალისხმევის შედეგად, თუმცა ზემოთ ნახსენები ხელისშემშლელი პირობებიდან გამომდინარე კომპანია 2020 წელს, თებერვლიდან მაისის ჩავლით, ეწეოდა მზა პროდუქციის იმპორტს და რეალიზაციას. ივნისის თვიდან განაახლა წარმოება ნოემბერის შუა რიცხვამდე, რის შემდეგადაც სრულად შეწყვიტა ქარხანამ ფუნქციონირება და გადავიდა წარმოებული მარაგის ამოყიდვაზე. მარაგის ამოყიდვის შემდეგ სრულად გადაერთო შაქრის იმპორტზე და მის რეალიზაციაზე.

სახელმწიფოს მხრიდან რომ შემოღებულიყო ვაჭრობაში ადგილობრივი წარმოებისთვის დაცვითი ღონისძიებების შესახებ კანონი ან გათავისუფლებულიყო საქართველოში შაქრის ერთადერთი მწარმოებელი ქარხანა დამატებული ღირებულების გადასახადისგან, ეს ხელს შეუწყობდა დარგის გადარჩენას ქვეყანაში და ქარხნის ხანგრძლივ მუშაობას. თუმცა ამ ეტაპზე მსგავსი კანონი შემოღებული არ არის, და კომპანია ყველა სხვა საწარმოს მსგავსად ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს გადასახადების გადახდას.
ქარხნის ფუნქციონირება პირდაპირ არის დამოკიდებული საერთაშორისო ბაზარზე შაქრის ლერწმის ნედლეულის ფასსა და მზა თეთრი შაქრის პროდუქტის ფასებს შორის სხვაობაზე. კომპანია გადამუშავებული პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ გაყიდის იმპორტირებულ პროდუქტს ადგილობრივ ბაზარზე.
შპს "აგარის შაქრის კომპანია"-მ მიაღწია შაქრის ქარხნის ისტორიაში იმპორტული შაქრის ლერწმის გადამუშავების ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებლებს. 2012 წელს გადამუშავებულ იქნა 104,285 ტონა შაქრის ლერწმის ნედლეული, 2014 წელს – 104,686 ტონა და, შესაბამისად, გამოშვებული იყო 103,487 ტონა და 102,996 ტონა თეთრი შაქრის ფხვნილი. საწარმო, ასევე, ახდენს შაქრის 1 და 5-კილოგრამიან პარკებში დაფასოებას. მარკეტინგული არეალის გაფართოების მიზნით, კომპანიამ გახსნა სარეალიზაციო ბაზრები ლილოს დასახლებაში, ქ. ბათუმსა და ქ. სენაკში. კომპანიას აგარაში არსებული საწარმოს გარდა ფილიალები არ გააჩნია.
2019 წლის განმავლობაში გაყიდვები, წინა წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, რაც ქარხნის გაჩერებამ, და მხოლოდ სადისტრიბუციო საქმიანობაზე გადასვლამ გამოიწვია.
2020 წლის აპრილიდან მოწვეულ იქნენ თანამშრომლები წარმოების პროცესის მომზადებისათვის (რემონტი) ხოლო უშუალოდ კომპანიამ შაქრის წარმოების პროცესი განაახლა ამავე წლის ივნისიდან. პროცესი გაგრძელდა 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით. მისი მიზანია ქართულ ბაზარზე, ბაზრის წილის ზრდა.

2018-2020 წლებში გადამუშავებული ნედლეული
ცხრილი #1

	გადამუშავებული ნედლეული
2018	*69,401.00*
2019	*0*
2020	*70,757,233*

კომპანიის საქმიანობის შედეგად სოლიდურ შემოსავალს იღებს ქვეყნის ბიუჯეტი დამატებითი ღირებულების გადასახადის, საშემოსავლოს და სხვა გადასახადების სახით. ასევე, ქვეყნის სხვა დარგებიც, მაგალითად რკინიგზა. წარმოების პროცესში კომპანია მოიხმარს ბუნებრივ აირს, კირქვას, ნახშირს და ტექნოლოგიური დანიშნულების დამხმარე მასალებს. აქედან გამომდინარე, მას თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

ცხრილი # 2

	საშემოსავლო	*დღგ*	*სხვა დანარენი*	*სულ გადახდილია ბიუჯეტში*
2020	196,226	16,304,057	*81925*	***16,582,208***
2019	425,547	11,373,174	*0*	***11,798,721***
2018	*254,810*	*4,941,262*	*175,281*	***5,371,353***

დღეისათვის არსებული ტექნოლოგია, წარმოების პროცესი, პროდუქციის ფიზიკო-ქიმიური და ორგანო-ლეპტიკური მაჩვენებლები მსოფლიო სტანდარტებს მიესადაგება და პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს. ამის თავისებური გარანტიაა გამოცდილი და კვალიფიციური კადრები. კომპანია მიზნად ისახავს მომხმარებლების მოთხოვნების დაკმაყოფილების მუდმივ გაუმჯობესებას.

კოვიდ 19-ის გავლენა კომპანიის ბიზნესზე და მასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19 ვირუსი (ცნობილი, როგორც კორონავირუსი) გამოაცხადა, როგორც 2020 წლის მსოფლიო პანდემიური მოვლენა. ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც კომპანიაზე, ასევე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე.
პანდემიის გამოცხადების შედეგად კომპანიაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
პანდემიის გამოცხადების შემდეგ ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მუშაობა განაგრძეს დისტანციურ რეჟიმში, ხოლო საწყობის თანამშრომლები მუშაობას განაგრძობდნენ ყველა იმ რეკომენდაციის გათვალისწინებით რასაც სახელმწიფო კომპანიებს აძლევდა.
მიუხედავად პანდემიისა კომპანიამ შეინარჩუნა ყველა თანამშრომელი და სწორედ ამ პერიოდში ამუშავდა საწარმო, რომელიც 2018 წლის ნოემბრიდან იყო გაჩერებული, სამუშაო ადგილების შემცირების ნაცვლად, პანდემიის პერიოდში კომპანიამ მოახერხა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ამ დროისთვის კომპანიაში დასაქმებულია 445 ადამიანი, მაშინ როცა პანდემიის საწყისი პერიოდისთვის კომპანიას ჰყავდა 34 თანამშრომელი.
სახელმწიფომ პანდემიის პერიოდში გამოაცხადა ფასების შენარჩუნების კონკურსი, რაშიც აგარის შაქრის ქარხანამაც მიიღო მონაწილეობა, რომლის ფარგლებში შპს აგარას ჰქონდა შესაძლებლობა მიეღო სუბსიდირება შაქრის თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ფასს შორის სხვაობის, თუმცა მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ამავე წელს ზემოთაღნიშნული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფომ აუნაზღაურა კურსთაშორისი სხვაობა, რომელიც უცხოური ნედლეულის შესყიდვასთან იყო დაკავშირებული, ჯამში 19,265 ლარი. რაც შეეხება მიღებულ შეღავათებს, იგი დაკავშირებულია წარმოებაში გამოყენებული გაზის ღირებულებასთან.
კომპანიის გაყიდვები 2020 წლისთვის, 2019 თან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა რადგან წარმოებამ დაიწყო ფუნქციონირება. ხარჯების ოპტიმიზაციისთვის დამატებით ღონისძიებები კომპანიაში არ გატარებულა. სამომავლოდ კომპანია გეგმავს რომ ჰქონდეს ქვეყნისთვის საჭირო რაოდენობით შაქრის რეზერვი, რისთვისაც აქტიურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას და შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.

შედეგად კომპანია მომავალში გეგმავს შემდეგი ნაბიჯების გადადგმას:
კომპანიის მიზანია, სამუშაო ადგილების ზრდა და ქვეყანაში საკმარისი რაოდენობით შაქრის რეზერვის შექმნა. 2020 წლისთვის კომპანიის გაყიდვები საგრძნობლად გაიზრდა. ამისთვის კი ის აქტიურად განაგრძობს მუშაობას. საწყის ეტაპზე კომპანიის ყველაზე დიდი ნაბიჯი წარმოების ამუშავება იყო პანდემიის პერიოდისთვის.

5. წარმოებული კვლევები და მისი განვითარება

ბოლო ორი წელია კომპანიაში არ ჩატარებულა კვლევები და არც იგეგმება უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

6. რისკების მიმოხილვა

სავალუტო რისკი

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე, რომელიც წარმოიქმნება როგორც ფინანსირებისგან, ასევე ინვესტირებიდან.
კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. თუმცა აქვს ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაშიც. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობები. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში ან ევროში.
გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქართული ეროვნული ვალუტა განიცდიდა გაუფასურებას ამერიკულ დოლართან მიმართებაში, სავალუტო რისკის მართვის კუთხით კომპანია ცდილობდა ხელშეკრულებები გაეფორმებინა ეროვნულ ვალუტაში. 2019 წლის განმავლობაში კომპანიას გააჩნდა სასესხო ვალდებულება სს ვი-თი-ბი ბანკი საქართველოსგან აშშ დოლარში. რის შედეგადაც აღმოჩნდა სავალუტო რისკის წინაშე. თუმცა სესხი იყო მოკლევადიანი და მიმდინარე პროცესების დაფინანსების მიზნით, კომპანიამ შეძლო, რომ წლის განმავლობაში გადაეხადა და უცხოურ ვალუტაში აღებული სესხის შედეგად წარმოქმნილი ზარალი მინიმუმამდე დაეყვანა.

ლიკვიდურობის რისკი

2020 წლის მანძილზე, წინა წლებთან შედარებით კომპანიის შემოსავლები გაიზარდა საგრძნობლად, რაც კომპანიის ლიკვიდურობის რისკს ამცირებს.

ცხრილში მოცემულია 2018-2019-2020 წლის ფინანსური კოეფიციენტები

წლები	**2020**	**2019**	**2018**
აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	**2.35**	**1.61**	**3.56**
მოკლევადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტი	**1.88**	**1.99**	**1.27**
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	**0.18**	**0.29**	**0.09**
მარაგის ბრუნვის კოეფიციენტი	**5.07**	**3.99**	**3.21**

7. ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა

2020 წელი საკმაოდ წარმატებულია აღმოჩნდა კომპანიისთვის, რაც პირველ რიგში გამოწვეულია წარმოების პროცესის აღდგენით. როგორც ცხრილში ვხედავთ შემოსავლები წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა.

წლები	2020 (თანხები მოცემულია ათასებში	2019 (თანხები მოცემულია ათასებში)	2018 (თანხები მოცემულია ათარებში)
შემოსავლები	89,641	51,180	64,918

შემოსავლების შესაბამისად, კომპანია ცდილობდა ხარჯების ოპტიმიზაციასაც:

წლები	2020 (თანხები მოცემულია ათასებში)	2019 (თანხები მოცემულია ათასებში)	2018 (თანხები მოცემულია ათასებში)
ადმინისტრაციული ხარჯები	4568	6,076	3,972
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	2728	1,128	757

ადმინისტრაციული ხარჯის დიდ ნაწილს წარმოადგენს თანამშრომლების ხელფასები:
2018 – 2,106 ათასი ლარი
2019 – 2,044 ათასი ლარი
2020 - 1,747 ათასი ლარი

2020 წლის აპრილიდან თანამშრომლები კვლავ დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილებს, რისი წინაპირობაც წარმოების პროცესის მომზადება და გამართვა იყო. 2020 წლის მანძილზე წინა წლებთან შედარებით მათი რ-ბა საგრძნობლად გაიზარდა.

ალხან ალიზადა
დირექტორი
24.05.2021

7. ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა

2020 წელი საკმაოდ წარმატებულია აღმოჩნდა კომპანიისთვის, რაც პირველ რიგში გამოწვეულია წარმოების პროცესის აღდგენით. როგორც ცხრილში ვხედავთ შემოსავლები წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა.

წლები	**2020 (თანხები მოცემულია ათასებში**	**2019 (თანხები მოცემულია ათასებში)**	**2018 (თანხები მოცემულია ათარებში)**
შემოსავლები	**89,641**	**51,180**	**64,918**

შემოსავლების შესაბამისად, კომპანია ცდილობდა ხარჯების ოპტიმიზაციასაც:

წლები	**2020 (თანხები მოცემულია ათასებში)**	**2019 (თანხები მოცემულია ათასებში)**	**2018 (თანხები მოცემულია ათასებში)**
ადმინისტრაციული ხარჯები	**4568**	**6,076**	**3,972**
გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები	**2728**	**1,128**	**757**

ადმინისტრაციული ხარჯის დიდ ნაწილს წარმოადგენს თანამშრომლების ხელფასები:
2018 – 2,106 ათასი ლარი
2019 – 2,044 ათასი ლარი
2020 - 1,747 ათასი ლარი

2020 წლის აპრილიდან თანამშრომლები კვლავ დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილებს, რისი წინაპირობაც წარმოების პროცესის მომზადება და გამართვა იყო. 2020 წლის მანძილზე წინა წლებთან შედარებით მათი რ-ბა საგრძნობლად გაიზარდა.

ალხან ალიზადა
დირექტორი
24.05.2021